შეთანხმება N 02-01

2016 წლის 20 იანვრის №02 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში
ცვლილების შეტანის შესახებ (კონსოლიდირებული ტენდერი CON150000078)

ქ. თბილისი 31 იანვარი 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის გიორგი ბაბაკიშვილის სახით და მეორე მხრივ შპს ,,მაგთიკომი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და 2016 წლის 20 იანვრის №02 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. 2016 წლის 20 იანვრის №02 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) ხელშეკრულების მე–2 მუხლის 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 19500.00 (ცხრამეტი ათას ხუთასი) ლარი.

2. ა) ხელშეკრულების მე–4 მუხლის 4.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
მომსახურების გაწევა განხორციელდება 2016 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 1 მარტამდე.

3. ხელშეკრულების მე–10 მუხლი ცამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 აპრილის ჩათვლით.

4. 2016 წლის 20 იანვრის №02 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი.

5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2016 წლის 20 იანვრის №02 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

6. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	მიმწოდებელი შპს „მაგთიკომი''
ს/კ 204577813 საბანკო რეკვიზიტები: ანგ. N200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222	ს/კ 204876606 ვითიბი ბანკი ჯორჯიას ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი № UGEBGE22 ა/ა GE73VT6600000000423607
სამსახურის უფროსის მოადგილე: გიორგი ბაბაკიშვილი	გენერალური დირექტორის მოადგილე: გია კოშორიძე